

NEW MATERIALS ON THE TRANSLATION OF THE ABKHAZ AND OSSETIAN
LANGUAGES INTO THE GEORGIAN SCRIPT

ახალი მასალები აფხაზური და ოსური ენების ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის
შესახებ

Teimuraz Gvantseladze

Doctor of philological sciences,
Professor of Sokhumi State University,
0186, Politkovskaya str., 61, Tbilisi, Georgia,
+(955) 599-53-16-34, gvantseladzet@gmail.com
<https://orcid.org/0009-0001-7630-4858>

Gvantsa Gvantseladze

Doctor of philology,
Associate Professor of Sokhumi State University,
0186, Politkovskaya str., 61, Tbilisi, Georgia,
+(955) 599-53-16-34, gvantsagvantseladze@gmail.com
<https://orcid.org/0009-0007-1641-3175>

Sofiko Chaava,

Doctor of Philology
Visiting Professor of Sokhumi State University,
0186, Politkovskaya str., 61, Tbilisi, Georgia,
+(955) 577-68-90-78, geosofikotchaava@gmail.com
<https://orcid.org/0009-0006-4735-4772>

Abstract. Archival documents show that Moscow was hesitating for a while and was considering over which script to transfer the northern and southern variants of the Ossetian language from the Latin alphabet to: both to Russian or both to Georgian. In the conclusion, which was submitted to the Central Committee of the Communist Party of the USSR by the Institute of Languages and Writings of the Peoples of the USSR, was mentioned that the fate of both variants of the Ossetian language should be decided equally, but the resolution of the Central Committee this recommendation and they have written the following: “**North Ossetian Script**” should be transferred to the Russian script. This “terminological innovation” practically divided the Ossetian people into two ethnic groups, on the basis of which the “South Ossetian language” implicit in the so-called South Ossetia was transferred to the Georgian script; With this action the seeds of confrontation between the Ossetian and Georgian peoples have been planted. A similar goal might be also supposed also in the case of transferring the Abkhazian language to the Georgian script. In an archival document (1937), the author **Arsen Hashba** praises the Georgian script and, along with other serious arguments, cites the following: “**when an Abkhazian student studies the Georgian script selected for the Abkhazian language, he will know how to read and write in both Abkhazian and Georgian, and when a Georgian child living in Abkhazia learns to read and write in Georgian, he will already know the Abkhazian letters**”. The conversion of the Abkhazian language to Georgian graphics was also motivated by the fact that Abkhaz scholars expressed the idea, unacceptable to the regime, of using the Abkhazian script for the Abaza language.

Keywords: Abkhaz script; Ossetian script; Georgian script for Abkhaz; Georgian script for Ossetian; writing and the soviet policy in Georgia.

თეიმურაზ გვანცელაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას 61, 0186, საქართველო,
+(955) 599-53-16-34, gvantseladzet@gmail.com
<https://orcid.org/0009-0001-7630-4858>

გვანცა გვანცელაძე

ფილოლოგიის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას 61, 0186, საქართველო,
+(955) 599-53-16-34, gvantseladzet@gmail.com
<https://orcid.org/0009-0007-1641-3175>

სოფიკო ჭაავა

ფილოლოგიის დოქტორი, მიწვეული ლექტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას 61, 0186, საქართველო,
+(955) 577-68-90-78, geosofikotchaava@gmail.com
<https://orcid.org/0009-0006-4735-4772>

აბსტრაქტი. საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ერთხანს მოსკოვი ყოყმანობდა, რომელ დამწერლობაზე გადაეყვანა ოსური ენის ჩრდილოური და სამხრული ვარიანტები ლათინური ანბანიდან: ორივე რუსულზე, თუ ორივე ქართულზე. დასკვნაში, რომელიც კომპარტიის ცკ-ს ორგბიუროს წარუდგინა სსრკ ხალხთა ენებისა და დამწერლობათა ინსტიტუტმა, ეწერა, ოსური ენის ვარიანტების ბედი ერთნაირად უნდა გადაწყდესო, მაგრამ ორგბიურომ ეს რეკომენდაცია გადააკეთა და ჩაწერა, რომ „**ჩრდილოეთოსური დამწერლობა**“ რუსულ გრაფიკაზე უნდა გადავიდესო. ამ „ტერმინოლოგიურმა ინოვაციამ“ ოსები ორ „ეთნოსად“ გახლიჩა, რის საფუძველზეც ე.წ. სამხრეთ ოსეთში ნაგულისხმევი „სამხრეთოსური ენა“ ქართულ დამწერლობაზე იქნა გადაყვანილი, რითაც ოსებსა და ქართველებს შორის დაპირისპირების თესლი ჩაითესა.

მსგავსი მიზანია სავარაუდო აფხაზური ენის ქართულ დამწერლობაზე გადაყვანის შემთხვევაშიც. 1937 წელს დაწერილ საარქივო დოკუმენტში **არსენ ჰაშუა** ქება-დიდებას უძღვნიდა ქართულ დამწერლობას და სხვა არგუმენტებთან ერთად ასახელებდა შემდეგსაც: **როცა აფხაზი მოსწავლე შეისწავლის აფხაზური ენისათვის შერჩეულ ქართულ დამწერლობას, მას ეცოდინება წერა-კითხვა აფხაზურადაც და ქართულადაც, ხოლო როცა აფხაზეთში მცხოვრები ქართველი ბავშვი ისწავლის ქართულად წერას და კითხვას, მას უკვე ეცოდინება აფხაზური ასოებიცო.** შდრ.: იგივე არგუმენტი იყო გამოყენებული ყაბარდოული და ბალყარული ენების რუსულ დამწერლობაზე გადაყვანის დროსაც, სხვაობა მხოლოდ ის იყო, რომ ა. ჰაშუა ქართულ (მხედრულ) ასოებს უჭერდა მხარს, ხოლო ყაბარდოულისა და ბალყარულის შემთხვევაში – რუსული კირილიცა იყო დასახელებული. აფხაზური ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა მოტივირებული იყო იმიტაც, რომ აფხაზი მეცნიერები გამოთქვამდნენ რეჟიმისათვის მიუღებელ იდეას აბაზური ენისათვის აფხაზური დამწერლობის გამოყენების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: აფხაზური დამწერლობა; ოსური დამწერლობა; ქართული დამწერლობა აფხაზური ენისათვის; ქართული დამწერლობა ოსური ენისათვის; დამწერლობა და საბჭოთა პოლიტიკა საქართველოში.

შესავალი. სტატია ნაწილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დამტკიცებული პროექტისა „აფხაზური ენის ფუნქციონირებისა და მეცნიერული კვლევის რეპრეზენტაცია საარქივო მასალების მიხედვით“ (შიფრი: FR-23-15212; ხელმძღვანელი - პროფ. თ. გვანცელაძე).

აფხაზური და ოსური ენების მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ 1937-1938 წლებში ეს ენები ქართულ გრაფიკაზე გადაიყვანეს ი. სტალინისა და ლ. ბერიას უშუალო მითითებით, მათი ეროვნების გათვალისწინების გამო და მიზნად ისახავდა აფხაზებისა და ოსების გაქართველებას. ეს ავტორები სხვა ახსნის შესაძლებლობას, ჩვეულებრივ, არც განიხილავენ. ამ მოსაზრებას ის ნაკლი აქვს, რომ მისი **დამადასტურებელი, ანდა გამომრიცხავი უტყუარი დოკუმენტური მასალა აქამდე არ იყო გამოვლენილი.** ამჟამად ვითარება უკვე შეიცვალა, ვინაიდან ბოლო წლებში ჩვენმა ჯგუფმა (ასოც. პროფ. **გვანცა გვანცელაძე**, ფილოლ. დოქტ. **სოფიკო ჭაავა**, ფილოლ. დოქტ. **მონიკა ხობელია**, პროფ. **თეიმურაზ გვანცელაძე**) საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში, შინაგან საქმეთა არქივსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივში მიაკვლია აქამდე უცნობ დოკუმენტებს, რომლებშიც დადასტურებულია სრულიად ახალი პირდაპირი და ირიბი ცნობები საკითხის შესახებ. ასეთსავე ცნობებს შეიცავენ აგრეთვე სხვა მკვლევართა მიერ გამოცემული აქამდე უცნობი დოკუმენტებიც.

წინამდებარე სტატიის მიზანია, ამ მონაცემებზე დაყრდნობით უპასუხოთ შემდეგ არსებით კითხვებს:

1. როგორ საერთო კონტექსტში შედგა ქართულ დამწერლობაზე დაფუძნებული პროექტები?

2. რა მიზანი ჰქონდა აფხაზური და ოსური ენების დამწერლობათა შეცვლას?

3. რა არგუმენტები გამოითქვა შესაბამისი პროექტების ორგანიზატორთა მიერ?

ამ საკითხების გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამეცნიერო, არამედ ინტერეთნიკური ურთიერთობების მომავლისთვისაც.

მეთოდები. მუშაობის დროს გამოვიყენეთ დოკუმენტების კვლევის მეთოდიკა, კერძოდ, ტექსტის ანალიზისა და შედარების მეთოდები.

შედეგები. საკითხზე მუშაობისას გამოყენებულმა მასალამ გვიჩვენა, რომ:

1. საბჭოთა რეჟიმი 1917-1935 წლებში გეგმავდა და ახორციელებდა ეთნიკურ უმცირესობათა გულის მოგების, მათი მოჩვენებითი პრივილეგიებისა და უმრავლესობასთან დაპირისპირების პოლიტიკას. საქართველოში ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალური გახადეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების გამწვავება.

2. ამ ეტაპზე, რომელსაც სტალინი **კორენიზაციას** უწოდებდა (შდრ. რუს. **корень** „ფესვი, ძირი, საფუძველი“), ხოლო უცხოელი ავტორები **ნაციონალიზაციად** მიიჩნევენ, მთელ სსრკ-ში მიმდინარეობდა ენათა ლათინურ დამწერლობაზე გადაყვანის მასობრივი კამპანია, რომელიც 70-მდე ენას შეეხო. მათ ნაწილს შეუცვალეს უკვე არსებული დამწერლობები, უდამწერლობო ენებს კი შეუქმნეს ლათინიზებული ანბანები. თითქმის ყველა ენაზე დაარსდა ე.წ. ეროვნული სკოლები, თეატრები, გამოდიოდა წიგნები და

გაზეთები, ყველა დაწესებულებაში შეიქმნა *ეროვნულ უმცირესობათა საბჭოები*, რომელთა თანხმობის გარეშე შეუძლებელი იყო გადაწყვეტილებების მიღება...

3. დასახელებული ტენდენციების ფონზე *კორენიზაციის ეტაპზე შეფარულად მიმდინარეობდა უმცირესობათა რუსიფიკაცია*. მაგალითად, ე.წ. ეროვნულ სკოლებში მოსწავლეებს დედაენას ასწავლიდნენ პირველ 3-4 წელიწადს, მერე კი სწავლების ენა რუსული ხდებოდა, მრავალ „ეროვნულ“ სკოლაში (მაგალითად, ბერძნულ სკოლებში) არც მოსწავლეებმა და არც მასწავლებლებმა არ იცოდნენ საკუთარი ეროვნების ენა, რის გამოც სწავლება მიმდინარეობდა მხოლოდ რუსულ ენაზე...

4. უმცირესობათა „პრივილეგირება“ დასრულდა 1936 წლიდან, როცა დაიწყო მასობრივი *რუსიფიკაცია* და ხელოვნურად გამძაფრდა ინტერეთნიკური წინააღმდეგობები. ამ ეტაპის დასაწყისშივე დაიხურა იმ ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე მომუშავე ე.წ. ეროვნული სკოლები, რომლებსაც არ ჰქონდათ ავტონომიები. საქართველოში ეს პროცესი შეეხო ბერძნულ, ქურთულ, ასირიულ, უდიურ, გერმანულ, ესტონურ, თურქულ სკოლებს.

5. რუსიფიკაციის ეტაპზე გააქტიურდა ლენინ-სტალინის კონცეფცია მსოფლიოს *ეთნოსთა და მათ ენათა გარდაუვალი შერწყმისა და საბოლოოდ მთელ მსოფლიოში მხოლოდ ერთი (ინგლისურის), ან ორი ენის (ინგლისურისა და რუსულის) გადარჩენის შესახებ*. მალე ამ კონცეფციას ი. სტალინმა სახე უცვალა და შექმნა *ზონალურ ენათა კონცეფცია*, რომლის მიხედვითაც ჯერ უნდა გამქრალიყვნენ ავტონომიის არმქონე უმცირესობათა ენები, მერე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების სატიტულო ეთნოსთა, შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკათა სატიტულო ხალხების ენები და ბოლოს გამარჯვება უნდა დარჩენოდა მომავალ მსოფლიო ენას - რუსულს. *აფხაზური და ოსური ენებისათვის ქართული დამწერლობის შექმნაც ამ კონცეფციის ორგანული ნაწილი იყო*: ეს ენები ჯერ რესპუბლიკურ, ანუ ზონალურ ენას უნდა შერწყმოდა, მერე კი ის „გამარჯვებული“ ენაც რუსულს შეეწირებოდა. (კორენიზაციისა და ზონალიზაციის შესახებ ვრცლად იხ. ჩვენი კოლექტიური მონოგრაფია: გვანცელაძე და სხვა, 2024).

6. გამოვავლინეთ დოკუმენტები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ ოსური ენის დამწერლობის შერჩევაზე აზრთა სხვადასხვაობა იყო. მოსკოველ ენათმეცნიერთა დასკვნით, ოსური ენა ჩრდილოეთ კავკასიაშიც და საქართველოშიც ერთ დამწერლობას უნდა დაყრდნობოდა - რუსულ კირილიცას, ან ქართულ დამწერლობას. საბოლოოდ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზებულ ოსური ენა ორ „ენად“ გახლიჩა, როცა შემოიღო ახალი ტერმინი „*ჩრდილოეთოსური*“, რაც ავტომატურად გულისხმობდა „*სამხრეთოსურის*“ დაშვებასაც და ამ ორი „ენის“ მიმართ *ზონალიზაციის პრინციპის საფუძველზე სხვადასხვაგვარ მიდგომასაც*. როგორც ცნობილია, ეთნოსთა მთლიანობა კომუნისტებისათვის მისაღები არ იყო - ის *ანელებდა გარუსების პროცესს*. შდრ.: ასე დახლიჩეს ენობრივად და ეთნიკურად ადიღელები და ყაბარდოელები, ყარაჩაელები და ბალყარელები, ჩეჩნები და ინგუშები, მორდველების ორი ჯგუფი, კომი-პერმიაკების ასევე ორი ჯგუფი და სხვა. ლათინიზაციის პროცესის დროს ცალ-ცალკე ეთნოსებად აღრიცხავდნენ სვანებს, მეგრელებსა და ლაზებს, ხოლო მეგრულ მეტყველებას ქართული დამწერლობა დაუმტკიცეს, ლაზურს კი - ლათინური...

7. გაირკვა, რომ *აფხაზურ სამეცნიერო საზოგადოებაში გავრცელებული იყო იდეა აფხაზური დამწერლობის გამოყენებისა აზაზური ენისთვისაც*, რომელიც ძალიან ახლოსაა აფხაზურ ენასთან. ამ სიახლოვის მოსაშლელად *აფხაზური ენა გადაიყვანეს ქართულ დამწერლობაზე, აზაზური კი - რუსულზე*. ეს პროცესი იმავე არგუმენტებით გამყარდა, რაც უფრო ადრე გამოიყენეს სხვა ენების, ყაბარდოელებისა და ბალყარელების მიმართაც.

აქ მოკლედ ჩამოთვლილი მონაცემებითაც დასტურდება, რომ *აფხაზური და ოსური ენების დამწერლობათა შერჩევის პროცესი არ დაიგეგმებოდა თბილისში, იგი განუყოფელი ნაწილი იყო ზონალურობის პოლიტიკისა და რაკი ოსები ორ სხვადასხვა მოკავშირე*

რესპუბლიკაში ცხოვრობდნენ, მათი ენისათვის დამწერლობების შერჩევა გეოგრაფიულმა, ანუ ზონალურმა ფაქტორმა გადაწყვიტა.

მსჯელობა. თავიდან აფხაზები და კავკასიონის ქედის აქეთ-იქით მცხოვრები ოსები მიმოწერისა და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იყენებდნენ ქართულ დამწერლობას, მაგრამ მე-18 საუკუნის ბოლოს ოსური ენისათვის შეიქმნა რუსულ კირილიცაზე დაყრდნობილი დამწერლობა. მის საპირწონედ ოსმა განმანათლებელმა **იოანე გაბარათიმ (იალლუზიძემ)** (1775-1830 წწ.) მე-19 საუკუნის დასაწყისში ოსურად წერისათვის დაამკვიდრა ქართული დამწერლობა, რომელსაც სამხრეთელი ოსები თითქმის უწყვეტად იყენებდნენ 1938 წლამდეც კი (იხ. ქვემოთ), მაგრამ რუსული ხელისუფლება დაუნდობლად ებრძოდა ქართულ დამწერლობას და ცდილობდა, ოსების ქართველებისაგან დასაშორებლად დაენერგა კირილიცას საფუძველზე 1844 წელს აკად. ანდრეას შიოგრენის მიერ შექმნილი და შემდგომ ვ. მილერის მიერ დაზუსტებული დამწერლობა. საყურადღებოა, რომ, რ. ფოლცის ცნობით, ა. შიოგრენი აღიარებდა ოსური ენისათვის ქართული დამწერლობის უპირატესობას კირილიცასთან შედარებით (Foltz, 2021, გვ. 58).

აფხაზები (აფსუები) ქართულ სამწიგნობრო ენას იყენებდნენ 1921 წლამდე, თუმცა კირილიცაზე დაფუძნებული აფხაზური დამწერლობა 1862 წელს შექმნა რუსმა გენერალმა **პიოტრ უსლარმა**. იმპერიის პოზიციას გამოხატავდა იმავე **პ. უსლარის** ფრიად ნიშანდობლივი პოზიცია, რომელიც მან იმავე 1862 წელს გამოთქვა და შემდეგს გულისხმობდა:

კავკასიაში რუსების მოსვლამდე გავრცელებულ ქართულ, სომხურ და არაბულ დამწერლობათაგან ყველაზე სრულყოფილია ქართული სადამწერლობო სისტემა, რომელშიც ასოთა რაოდენობა ზუსტად ემთხვევა ქართულ ენაში არსებულ ბგერათა რაოდენობას, ამასთანავე ქართულ ანბანს არა აქვს ბგერებისა და ასოების რაოდენობის სხვაობის პრობლემა - რამდენი ბგერაც არსებობს ენაში, დამწერლობაშიც ზუსტად იმდენივე ასოა, ეს კი გამორიცხავს დაწერილი ტექსტისა და წარმოთქმის შეუსაბამობას, რაც ბევრ სხვა ენას ახასიათებსო. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური მოსაზრების გამო პ. უსლარი მაინც წინააღმდეგი იყო ქართული ასოების გამოყენებისა კავკასიაში გავრცელებული უდამწერლობო ენებისათვის. იგი წერდა:

„...ამით სრულიად უნებურად შევქმნით სიძნელეებს, რომლებიც მით უფრო საგრძნობი იქნება, რაც უფრო მეტად გავრცელდება რუსული წერა-კითხვა კავკასიაში, ...ჩვენ შევქმნით იმის რისკს, რომ ქართული და სხვა ავტონომიების გარდა წარმოვქმნათ აფხაზური ავტონომიაც“ (Услар, 1881, გვ. XXXVII).

ამიტომ პ. უსლარმა 1862 წელს აფხაზური ენის ლინგვისტური მიმოხილვის წერისას გამოიყენა რუსული დამწერლობა, რომელშიც აკად. ა. შიოგრენის მიერ ოსური ენისათვის უფრო ადრე შექმნილი დამწერლობიდან გადმოიღო გადაკეთებული რუსული ასოების ჯგუფი (ე.წ. კუდიანი ასოები) და სხვა ევროპული დამწერლობებიდან აღებული რამდენიმე ასო.

კიდევ უფრო მეტად პოლიტიზებული იყო დამწერლობათა შეცვლა-უნიფიცირების საკითხი საბჭოთა პერიოდში, როცა ლენინი, სტალინი, ტროცკი, ლუნაჩარსკი და სხვები ამკვიდრებდნენ *იდეას მსოფლიოში სოციალისტური სისტემის დამყარების მერე ენათა და ეთნოსთა სავალდებულო შერწყმის შედეგად ერთი (ინგლისური), ან ორი ენის (ინგლისურისა და რუსულის) გაბატონების შესახებ*. სწორედ ამ იდეის პრაქტიკული განხორციელება იყო 1922-1935 წლებში სსრკ-ში 70-მდე ენისათვის ლათინიზებული დამწერლობის თავს მოხვევა. ამ მასობრივ პროცესს ხელმძღვანელობდა, აფინანსებდა და აკონტროლებდა სსრკ-ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) ეროვნებათა საბჭოსთან არსებული ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც

თავისი ფილიალები ჰქონდა ყველა რესპუბლიკასა და ავტონომიებში, მათ შორის თბილისში, ცხინვალსა და სოხუმში.

დამწერლობათა ლათინიზაციის, ანუ კორენიზაციის პროცესს ზედამხედველობას უწევდნენ კომუნისტური (ბოლშევიკების) პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი განყოფილებები, ორგბიურო და პოლიტბიურო, ცენტრალური კომიტეტის მდივნები: ი. სტალინი, ნ. ეჟოვი, ა. ანდრეევი, ა. ჟდანოვი და ლ. კაგანოვიჩი (გვანცელაძე და სხვ., 2024, გვ. 229-266).

1936 წლიდან ლათინიზაცია-კორენიზაცია შეწყდა და დაიწყო რუსიფიკაციისა და ზონალიზაციის პოლიტიკა: სტალინის კონცეფციით, სსრკ-ში ჯერ უნდა დაწყებულიყო მცირერიცხოვან ხალხთა ენების შერწყმა მოკავშირე რესპუბლიკების მთავარ ენებთან, მერე ამ უკანასკნელთა შორის დაიწყებოდა კონკურენცია და ჩამოყალიბდებოდა რამდენიმე ზონალური ენა, ბოლოს კი დარჩებოდა ერთადერთი „გამარჯვებული“ ენა, რომელიც უეჭველად რუსული იქნებოდა. ამ კონცეფციის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ოსური და აფხაზური ენები ზონალიზაციის პირველსავე ეტაპზე უნდა გამქრალიყო. მოგვიანებით სამხრეთ კავკასიის სამი ზონალური ენიდან (აზერბაიჯანული, სომხური და ქართული) გადარჩებოდა ერთადერთი ზონალური ენა, თუმცა ბოლოს ეს „გამარჯვებულიც“ შეეწირებოდა რუსულ ენას, მომავალი „სოციალისტური მსოფლიოს“ ორიდან ერთ-ერთ ენას (გვანცელაძე და სხვ., 2024, გვ. 273-274).

საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ კორენიზაციის შეწყვეტამდე ორი წლით ადრე, 1934 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ანდრეი ჟდანოვმა გამოიყენა ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის დაზანად მუსაბეკოვის იმავე 1934 წლის 30 ივნისის მოხსენებითი ბარათი ამ კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (ЦК ВКП(б), 2009, გვ. 60) და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს წარუდგინა დადგენილების პროექტი, რომელიც ზოგი ცვლილებით დამტკიცდა 1934 წლის 28 ოქტომბერს. ამ დადგენილებაში ლათინიზაციის ერთ-ერთ მთავარ „ნაკლად“ გამოცხადდა ზოგიერთი ენის დამწერლობის მრავალასოიანობა და ასეთ „ნაკლოვან“ ენებად დასახელდა აფხაზური და აზერბაიჯანული ენები (ЦК ВКП(б), 2009, გვ. 63). ა. ჟდანოვმა ეს „ნაკლი“ აშკარად საგანგებოდ მოიფიქრა და ეწინააღმდეგებოდა ლათინიზაციის უმთავრეს პრინციპს, რომელიც ფონემათა და გრაფემათა, ანუ ბგერებისა და ასოების მაქსიმალურ თანხვედრას მოითხოვდა. დადგენილება აფხაზურ, აზერბაიჯანულ ენებთან ერთად ნაკლოვანად თვლიდა ადიღურ და ყაბარდოულ ენებსაც და მათ ლათინიზებულ დამწერლობებსაც, რადგან ოთხივე ენას 60-ზე მეტი სამეტყველო ბგერა მოეპოვება და ეს უმთავრეს „დანაშაულად“ ჩანდა, ხოლო ლათინური ენის 26 ასო არ ჰყოფნიდა მათ ზუსტად ასახვას, რაც მეორე „დანაშაული“ იყო (აქვე დავძენთ, რომ არც რუსული დამწერლობის 33 ასოა საკმარისი, მაგრამ 1936 წლიდან სწორედ ეს ანბანი შეურჩიეს ჯერ ყაბარდოულ ენას, მერე კი დანარჩენ 70-მდე ენასაც).

ორგბიუროს ზემოთხსენებულ დადგენილებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მე-7 მუხლს, რომელშიც ეწერა:

„შემდგომში ყოველი ცალკე აღებული ხალხის ახალ დამწერლობაზე გადასვლის საკითხი გადასაწყვეტად დაისვას სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წინაშე“ (ЦК ВКП(б), 2009, გვ. 63). ეს იმას ნიშნავდა, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ხელში აიღო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების სრული კონტროლი.

ეს მუხლი რომ რეალურად სრულდებოდა, ადასტურებს უამრავი ახლად გამოქვეყნებული საბუთით, რომლებშიც აშკარად ჩანს, რა ფიზიკლად ადევნებდნენ თვალყურს დამწერლობათა ცვლის პროცესებს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი განყოფილებები, ორგბიურო და პოლიტბიურო, აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის მდივნები (გვანცელაძე და სხვ., 2024, გვ. 229-266). ეს ათეულობით საბუთი **სრულებით გამოირიცხავს ბრალდებებს**, თითქოს აფხაზური და ოსური ენებისათვის ქართული გრაფიკის შერჩევა თბილისმა გადაწყვიტა და აფხაზ-ოსთა გაქართველებას გულისხმობდა

- გაქართველებას არც სტალინი, არც პარტიის ცენტრალური კომიტეტი და არც პოლიტიბიურო არ დაუშვებდნენ იმ დროს, როცა ბოლშევიკების პოლიტიკის სტრატეგიული ხაზი ენათა და ხალხთა შერწყმა და საბოლოოდ მთელ იმპერიაში რუსული ენის გაბატონება იყო, შდრ.: აქტიური რუსიფიკაცია 1938 წლიდან დაიწყო, ანუ ზუსტად იმ წლიდან, როცა აფხაზური და ოსური ენებისათვის შექმნილი ქართული გრაფიკა დაინერგა. აქვე მოკლედ წარმოვადგინოთ 1938 წელს გამოცემული იმ ორი ნორმატიული დოკუმენტის მოკლე მიმოხილვას, რომლებიც ასახავენ რუსიფიკაციისა და ზონალიზაციის უმჭიდროეს ურთიერთკავშირს:

1936 წლიდან დაიწყო შემოწმებები მოკავშირე რესპუბლიკებსა და ავტონომიებში სასკოლო განათლების მდგომარეობის შესახებ. „აღმოაჩინეს“, რომ ეროვნულ რესპუბლიკებშიც და რუსეთის სფსრ-შიც კი „ხალხის მტრებს“ გაუხსნიათ ე.წ. ეროვნული სკოლები და ე.წ. ეროვნული კლასები, რაც ხელს უშლიდა „დიდი ლენინის ენის“ სათანადოდ სწავლებას, არადა კრემლში „ღარ ახსოვდათ“, რომ ეს სკოლები და კლასები მათივე დირექტივებით იყო შექმნილი რესპუბლიკებში უმცირესობებისა და უმრავლესობათა დასაპირისპირებლად. ეს „აღმოჩენა“ გახდა იმის საბაზი, რომ 1938 წლის 24 იანვარს მიღებულ იქნა სსრკ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს დადგენილება *„ეროვნული სკოლებისა და სკოლების ეროვნული განყოფილებების ლიკვიდაციის შესახებ“*, რომელიც *მავნებლობად* აცხადებდა *ავტონომიების არმქონე ხალხთა ენებზე მომუშავე ეროვნული სკოლებისა და ჩვეულებრივ სკოლებში არსებული ეროვნული კლასების არსებობას*. დოკუმენტი მოითხოვდა ამ სკოლებსა და კლასებში სწავლების შეწყვეტას შესაბამის უმცირესობათა ენებზე (ბერძნულზე, პოლონურზე, ფინურზე, ჩინურზე, კორეულზე და ა.შ.) და მათში *სწავლების ენად შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის ენის, ან რუსულის დაწესებას* (გვანცელაძე და სხვა, 2024, გვ. 187-189).

სწორედ ამ დადგენილების საფუძველზე 1938 წელს საქართველოში დაიხურა „ხალხის მტრების“ მიერ დაარსებული 163 „ეროვნული სკოლა“, მათ შორის 111 ბერძნული, 18 გერმანული, 18 ქურთული, 3 ასირიული, 5 ესტონური, 7 ლაზური და 1 ყაზანის თათრული, მათ ნაწილში სწავლება გადავიდა რუსულ ენაზე, მეორე ნაწილში კი - ქართულზე (გვანცელაძე და სხვა, 2024, გვ. 191-193), რასაც ზოგი ავტორი სტალინ-ბერიას მიერ დაგეგმილ „გაქართველების“ პოლიტიკად ნათლავს. ეს რომ სრულიად საკავშირო ღონისძიება იყო, კარგად ჩანს თვით დადგენილებიდანაც, თუმცა აქვე მოვიხმობთ ანალოგიას ყაზახეთიდან. ვ. შმიდტი წერს (ვიმოწმებთ შემოკლებით):

„ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც აღიარებდა განსაკუთრებული ეროვნული სკოლებისა და ეროვნული განყოფილებების შემდგომ არსებობას მავნებლურად..., დაადგინა „რეორგანიზდეს ყაზახეთის სსრ-ში არსებული განსაკუთრებული სკოლები ...ჩვეულებრივი ტიპის საბჭოთა სკოლებად“. ...1938 წლის 13 აპრილს ყაზახეთის მთავრობამ მიიღო დადგენილება N 353 „ეროვნული სკოლების რეორგანიზაციის შესახებ“. რეორგანიზაცია ეხებოდა საერთო ჯამში ყველა დონის 377 ეროვნულ სკოლას, მათ შორის: 125 გერმანულს, 118 კორეულს, 67 უიღურულს, 18 თათრულს, 7 დუნგანურს, 17 უზბეკურს, 7 თურქულს, 5 სომხურს, 4 ქურთულს, 3 ყუმიკურს, აგრეთვე თითო ჩეჩნურს, ლატვიურს, აზერბაიჯანულს, ტაჯიკურს, ებრაულს, ესტონურს, ქართულს, ალათაურს, ბულგარულს და ჩუვაშურს“ (Шмидт, 2021, გვ. 75-76).

აქ დასახელებული მოსკოვსა და ალმა-ატაში მიღებული დოკუმენტების საფუძველზე შეწყდა მცირერიცხოვან დიასპორათა ენების პრივილეგირება ყაზახეთში **ზონალურობის პოლიტიკის საფუძველზე**: ყაზახეთში **სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სატიტულო ეთნოსთა ენებს** - უზბეკურს, ტაჯიკურს, ქართულს, სომხურს, აზერბაიჯანულს, აგრეთვე იმ დროს **ავტონომიების მქონე ეთნოსთა ენებს** - თათრულს, ჩუვაშურს, ებრაულს, ალათაურს, გერმანულს, ჩეჩნურს ზუსტად ისე მოეპყრნენ, როგორც **უავტონომიო ეთნოსთა ენებს**: კორეულს, უიღურულს, დუნგანურს, თურქულს, ქურთულს, ლატვიურს, ესტონურსა და ბულგარულს. არცერთ მათგანზე სკოლა არ

დატოვეს არა ყაზახეთის მმართველ კომუნისტთა თვითნებობის გამო, არამედ კრემლის მიერ მიღებული დადგენილების იმპერატიული ნებით, შესადარებლად გავიხსენოთ იმავე წელს საქართველოში დახურული 163 „ეროვნული“ სკოლა, რომელთა შორის არ აღმოჩნდა ორი მოკავშირე რესპუბლიკის ძირითადი ეროვნების ენებზე მოქმედი არცერთი სკოლა (არც სომხური, არც აზერბაიჯანული) და არც ორი ავტონომიის ენაზე მოქმედი სკოლები - არც აფხაზური და არც ოსური.

რატომ არ მიბადეს ქართველმა კომუნისტებმა ყაზახ კოლეგებს და რა მიზეზით არ შეცვალეს სწავლების ენა 1938 წელს სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ სკოლებში? პასუხი ერთია:

თუ ყაზახებს ჰქონდათ უფლება, ქართველებსაც შეეძლოთ დასახელებული ოთხი უმცირესობის ენაზე მოქმედი სკოლების დახურვა, მაგრამ არ გააკეთეს, ანუ ქართველებს არავის გაქართველება არ სურდათ!

1938 წლის 13 მარტს მიღებულ იქნა სსრკ სახკომსაბჭოსა და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის N 324 დადგენილება „*ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების სკოლებში რუსული ენის სავალდებულო სწავლების შესახებ*“. ეს დოკუმენტი მკაცრად განსაზღვრავდა რუსული ენის სწავლების ვალდებულებას ნებისმიერი ეროვნების მოქალაქეებისათვის, მის ტექსტში დეტალურად იყო მითითებული ამ ენის ცოდნის დონეები სწავლის სხვადასხვა ეტაპზე კვირეული დატვირთვის მითითებით...

პრაქტიკულად, პირველი დოკუმენტი აფართოებდა რუსული ენის ფუნქციონირების ფარგლებს სკოლებში, ხოლო მეორე დოკუმენტი ამ პროცესს სავალდებულოს ხდიდა და ქმნიდა რუსული ენის სწავლების სამართლებრივ ჩარჩოებს.

ამ ფონზე ყოვლად წარმოუდგენელია, კრემლს ვერ გაეგო, თუ ქართველი ფუნქციონერები მართლა შეეცდებოდნენ აფხაზთა და ოსთა გაქართველებას და მათთვის ამ მიზნით ქართული ენისა და დამწერლობის იძულებით თავს მოხვევას! თვითნებობას დაუსჯელად არავინ დატოვებდა, რადგან ეს სტრატეგიული პოლიტიკიდან გადახვევა იქნებოდა. ნუ დაგვავიწყდება, რომ დამწერლობათა ცვლის ახალი ეტაპი სისხლიანი რეპრესიების დროს მიმდინარეობდა!

რჩება ერთადერთი ახსნა: *რუსული ენის გაძლიერებული სწავლება ემსახურებოდა ზონალიზაციის კონცეფციის საბოლოო შედეგის დაჩქარებულად მიღწევას, ანუ რუსული ენის მსოფლიო ენად გადაქცევას* - ეს ენა ქართველსაც უნდა ესწავლა, ოსსაც და აფხაზსაც. მეორე მხრივ, ოსებსა და აფხაზებს უნდა სცოდნოდათ ქართული ენაც, როგორც საქართველოს სსრ-ს დროებითი, გარდამავალი ზონალური ენა.

არსებითია ისიც, რომ 1936-1941 წლებში ლათინიზებული დამწერლობებიდან რუსულ ანბანზე, ხოლო საქართველოში ქართულ დამწერლობაზე გადაყვანის პროცესში მოსკოვი საგანგებო ყურადღებას უთმობდა საქმის ფორმალურ მხარეს, როცა ყველა მოკავშირე რესპუბლიკასა და ავტონომიაში იდგმებოდა „სპექტაკლები“ იმის საჩვენებლად, თითქოს ახალ დამწერლობებზე გადაყვანის ინიციატორები ადგილობრივი პარტიული აქტივი და მოსახლეობის ფართო ფენები იყვნენ, კრემლი კი არაფერ შუაში იყო - ის მხოლოდ ამტკიცებდა ხალხის ნებას, ანუ ადგილებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

დამწერლობათა ცვლის პროცედურა ავტონომიებში ასეთი სქემით მიმდინარეობდა:

ჯერ ავტონომიის სატიტულო ეთნოსის სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებს წამოაჭრევიანებდნენ საკითხს ლათინური დამწერლობის გამოცვლის შესახებ, შემდეგ ამ საკითხზე მსჯელობდა და გადაწყვეტილებას იღებდა ავტონომიის პარტიული ხელმძღვანელობა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი), შემდეგ მისწერდნენ შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, ისინიც განიხილავდნენ საკითხს და აცნობებდნენ მოსკოვის უმაღლეს სტრუქტურებს (ზოგჯერ რსფსრ-ში შემავალი ავტონომიები პირდაპირ სსრკ-ს უმაღლეს ინსტანციებსაც მიმართავდნენ). მოსკოვის თანხმობის შემდეგ საქმეში ჩართავდნენ ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც მოცემული ენის მკვლევართა და

ავტონომიის ინტელიგენციის ჩართვით ადგენდა დამწერლობის პროექტს, ხარჯთაღრიცხვას, ხელით საბეჭდი მანქანისა და სტამბის ლინოტიპის კლავიატურაზე ასოთა განლაგების პროექტს, ექსპერტებად იწვევდნენ მეცნიერებს სსრკ-ს ხალხთა ენებისა და დამწერლობათა საკავშირო ცენტრალური ინსტიტუტიდან (ამჟამინდელი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი) და ლენინგრადის ენისა და აზროვნების ინსტიტუტიდან. საბოლოო პროექტს ჯერ განიხილავდნენ ავტონომიაში, მერე იერარქიული კიბის მომდევნო საფეხურებზე და თუ ყველგან თანხმობა იქნებოდა, ახალი ანბანის საკავშირო ცენტრალური კომიტეტი დაამტკიცებდა ახალ დამწერლობას, რასაც საბჭოთა კავშირის ცაკი იწონებდა და გადასცემდა პარტიის ცკს განყოფილებებსა და ორგანიზაციებს. ისინი განიხილავდნენ და დასამტკიცებლად გადასცემდნენ პოლიტბიუროს.

ამდენი საფეხურის გავლისას თუ ვინმე შეამჩნევდა, რომ ირღვეოდა კონკრეტული ხალხის ეთნიკური უფლებები, ოფიციალურად, ან ანონიმურად აცნობებდა შინსახკომს, ან პირდაპირ კრემლს, ან კიდევ პირადად სტალინს. რეაგირებაც არ დააყოვნებდა და იმ სისხლიან წლებში არავის დაინდობდნენ, თუკი ბრალად ეთნიკური ძალადობა დაედებოდა. იმ ტოტალიტარულ სისტემაში უდანაშაულო ადამიანებიც ისჯებოდნენ და რეალურ დამნაშავეს არავინ აპატიებდა კომუნისტური „ხალხთა ძმობის“ პრინციპის დარღვევას. სტალინიც და ბერიაც პირველნი იქნებოდნენ განაჩენის გამოტანაში.

საკითხთა გადაწყვეტის საერთო კონტექსტის მიმოხილვის შემდგომ გადავიდეთ კონკრეტულ მონაცემთა ანალიზზე.

ახლადმიკვლეული საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ერთხანს მოსკოვი ყოყმანობდა, თუ რომელ დამწერლობაზე გადაეყვანა ოსური ენის ჩრდილოური და სამხრული ვარიანტები ლათინური ანბანიდან: ორივე რუსულზე, თუ ორივე ქართულზე. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა იყო. ცხადია, ბევრად უფრო ადვილი იქნებოდა ოსური ენის ორივე ვარიანტის რუსულ დამწერლობაზე გადაყვანა: ბოლშევიკებისათვის, მით უმეტეს სისხლიან 1936-1937 წლებში თბილისის აზრს არანაირი ფასი არ ჰქონდა სტრატეგიულ ინტერესებთან შედარებით. მეორე მხრივ, ჩრდილოეთ კავკასიაში ოსების ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანა უდავოდ გამოიწვევდა რუსული მოსახლეობის პროტესტს, რსფსრ-ს ტერიტორიაზე ქართულ ენას რატომ ავრცელებთო. მესამე მხარეც ჰქონდა ამ დილემას: თუ სამხრეთელ ოსებს ქართულ დამწერლობას შესთავაზებდნენ, ამით ქართველების „გულს მოიგებდნენ“, ხოლო ოსებში პროტესტი ანტიქართული მიმართულებით შეიძლება წარმართულიყო. ამ მოსაზრებათა ჭიდილი ასახულია დოკუმენტებშიც:

1. პარტიის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1936 წელს განიხილა „ყაზარდოელი ხალხის ინიციატივით“ რუსულ გრაფიკაზე დამყარებით შექმნილი ახალი დამწერლობის საკითხი. სამხარეო კომიტეტის მდივანმა ევიმ ევდოკიმოვმა მოსკოვში პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წერილობით აცნობა, რომ სამხარეო კომიტეტი თანახმა იყო როგორც ყაზარდოელის, ისე ბალყარულის კირილიცაზე გადაყვანაზე. იქვე ე. ევდოკიმოვი წერდა, რომ მასთან სათათბიროდ შეკრებილ ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიების პარტიულ ლიდერებსა და ცაკის თავმჯდომარეებს ერთხმად მოუწონებიათ ეს პროექტი და ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტად დაუსახელებიათ ის, რომ მისი განხორციელების შემდგომ ყაზარდოელ და ბალყარელ მოსწავლეებს აღარ დასჭირდებოდათ ორ-ორი განსხვავებული გრაფიკის (ლათინურისა და რუსულის) შესწავლა და ასოთა ორმაგი რაოდენობის შეთვისება (ანალოგიური არგუმენტი გამოიყენეს აფხაზური ანბანის მიმართაც. იხ. ქვემოთ).

ე. ევდოკიმოვი იმასაც აცნობებდა თავის უფროსობას, რომ სამხარეო კომიტეტს გადაწყვეტილი ჰქონდა, კირილიცაზე გადაეყვანათ ჩრდილოეთ კავკასიის 16 ენა-კილო: ყაზარდოელი და ადიღური, ბალყარული და ყარაჩაული, აბაზური, ნოღაური, ოსური, ინგუშური და ჩეჩნური, ხუნძური, ლაკური, დარგუული, ლეზგიური, თაბასარანული, ყუმიკური და თათური (ЦК ВКП(б), 2009, გვ. 186-187).

ჯერ ერთი, ამ ჩამონათვალთან დაკავშირებით ჩანს, რომ პარტია ეთნოსთა დახლეჩის ცარიელ პოლიტიკას განაგრძობდა, ვინაიდან ადიღელებიც და ყაბარდოელებიც ჩერქეზები არიან და მათ ერთი ენა აქვთ, ჩამონათვალში კი ორი „ენა“ დასახელებული; ასევე ორ-ორ ენად არის მოხსენიებული ყარაჩაულ-ბალყარული და ჩეჩურ-ინგუშური (ანუ ვეინახური) ენები. იგივე ხდებოდა ვოლგისპირეთსა და სხვა რეგიონებშიც. ეს არსებითი მომენტია და ქვემოთ დაგვიჩვენებს მისი გახსენება.

მეორე, ცხადია, რომ საკითხს ჩრდილოეთ კავკასიის ენა-კილოებზე მოლაპარაკე ეთნოსთა ნაცვლად პარტიის სამხარეო კომიტეტი თვითონ წყვეტდა და უკვე იწყებდა რუსიფიკაციის აქტიური პოლიტიკის განხორციელებას. ამ ჩამონათვალში დასახელებული ოსური ენაც ამ პროცესის ერთ-ერთი მსხვერპლი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამინდელი ოსი ავტორები ამ აშკარა ასიმილაციურ პოლიტიკას „ვერ ამჩნევენ“!

ჩვენი საკვლევი თემისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ე. ვედოკიმოვის წერილის კიდევ ერთ დეტალს: ავტორი აცხადებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ენათა გადაყვანა რუსულ დამწერლობაზე საჭიროებს შეთანხმებას აზერბაიჯანსა და საქართველოსთან, ვინაიდან აზერბაიჯანელები (დოკუმენტში მოიხსენიებიან როგორც *тюрки* „თურქები“) დაღესტანშიც ცხოვრობენ და მათი ენის დამწერლობის საკითხი ერთნაირად უნდა გადაწყდეს აზერბაიჯანსა და დაღესტანში, ხოლო რაკი ოსური ენის დამწერლობის საკითხი უკავშირდება სამხრეთელი ოსების საკითხს, უნდა შევუთანხმდეთ საქართველოსაცო (ЦК ВКП(б), 2009, გვ. 187).

ე. ვედოკიმოვი შემთხვევით არ დაწერდა, აზერბაიჯანსა და საქართველოს უნდა შევუთანხმდეთო. ვვარაუდობთ, რომ მას უეჭველად ჰქონდა წინასწარი ინსტრუქცია კრემლისგან. სხვაგვარად აუხსნელია, რომ იგი სხვა ჩრდილოეთკავკასიელ კომუნისტ ლიდერებთან ერთად უყოყმანოდ ხლეჩდა ჩრდილოეთკავკასიელ ეთნოსებს და, მეორე მხრივ აზერბაიჯანელთა და ოსთა ეთნიკურ-ენობრივი ერთიანობა ადარდებდა. ვფიქრობთ, აქ გასაღებს გვაწვდის აზერბაიჯანული ენის საკითხი: ზონალიზაციის კონცეფციით, აზერბაიჯანული ენა დროებით (სანამ რუსულს შეეწირებოდა) აზერბაიჯანის ზონალური ენა უნდა გამხდარიყო, ამიტომ მისი ხელის ხლება იმ ეტაპზე დაუშვებელი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ოსურ ენას, მას ამგვარი „ნათელი მომავალი“ არ ელოდა არც რუსეთის ფედერაციაში, სადაც პირდაპირ რუსულ ენას უნდა გადაეყლაპა, და არც საქართველოში, სადაც დაგეგმილი იყო მისი გაქრობა საქართველოს ზონალური ენის მიერ.

დასკვნაში, რომელიც 1938 წლის 11 მარტს კომპარტიის ცკ-ს ბეჭდვისა და გამომცემლობების განყოფილებას წარუდგინა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებისა და დამწერლობათა ცენტრალურმა ინსტიტუტმა მისი დირექტორის ვართან პეტროსიანის ხელმოწერით, ეწერა, ოსური ენის ბედი ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში ერთნაირად უნდა გადაწყდესო. ინსტიტუტი მოითხოვდა ორივეგან რუსული დამწერლობის გამოყენებას ასეთი არგუმენტაციით: ოსური ენისათვის დამწერლობა XVIII საუკუნეში შეიქმნა რუსული დამწერლობის საფუძველზე, რომელიც ლათინიზაციამდე გამოიყენებოდაო (ЦК ВКП(б), 2009, გვ. 388-389). ამ წერილში ფაქტი არასწორად იყო წარდგენილი: მასში საერთოდ არაფერი იყო ნათქვამი იმის შესახებ, რომ ოსები ქართულ დამწერლობასაც იყენებდნენ ლათინიზაციის დროსაც კი.

ნიშანდობლივია, რომ ეს დასკვნა, რომელიც ეხებოდა კონკრეტულად ყარაჩაული, აბაზური, ნოღაური, ოსური, მოლდოვური და ყირიმის თათრული ენა-კილოებისათვის დამწერლობის შერჩევას, ნაწილობრივ გამოიყენა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგბიურომ და 1938 წლის 9 აპრილს მიიღო დადგენილება, რომლის პირველი მუხლი ასე იყო ფორმულირებული:

„1. მიეცეს თანხმობა ყირიმის თათრული, ჩრდილოური ოსური (северо-осетинский), მოლდოვური და შორული დამწერლობების რუსულ ანბანზე გადაყვანას“ (ЦК ВКП(б), 2009, გვ. 390).

ტერმინი „ჩრდილოოსური დამწერლობა“ ლოგიკურად გულისხმობდა „სამხრეთოსური დამწერლობისა“ და ორი ოსური „ენის“ არსებობის დაკანონებას უმაღლესი პოლიტიკური ინსტანციის მიერ. მეორე მხრივ, ისიც იგულისხმებოდა, რომ „სამხრეთოსური ენა“ სხვა, არარუსულ დამწერლობაზე უნდა გადასულიყო, სხვაგვარად ერთი ენის ორგვარად დასახელება გაუგებარია. ამ „ტერმინოლოგიურმა ინოვაციამ“ ოსი ხალხი პრაქტიკულად ორ „ეთნოსად“ გახლიჩა, რის საფუძველზეც „სამხრეთული ოსური“ იმავე 1938 წლის 21 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) დადგენილებით ქართულ დამწერლობაზე იქნა გადაყვანილი, რითაც ოს და ქართველ ხალხებს შორის დაპირისპირების თესლი ჩაითესა.

საკითხის ისტორიისათვის საყურადღებო ცნობებს შეიცავს საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაციების განყოფილების გამგე გეორგი მალენკოვისათვის 1938 წლის ოქტომბერში გაგზავნილი საქართველოს კომპარტიის მდივან კანდიდ ჩარკვიანისა და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვალერიან ბაქრაძის განმარტებითი ბარათი:

კ. ჩარკვიანი და ვ. ბაქრაძე აცნობებდნენ გ. მალენკოვს, რომ პირველ ეტაპზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელმა ორგანოებმა (ალბათ პარტიის საოლქო კომიტეტმა) დაავალეს ოლქის განათლების სახალხო კომისარიატს, მეცნიერთა ჩართულობით მოემზადებინათ საკითხი ოსური ენის ახალ დამწერლობაზე გადაყვანის შესახებ და შეედგინათ ახალი ანბანის პროექტი. ახალი დამწერლობის საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიუღიათ მეცნიერებს, პედაგოგებს, მწერლებს, საოლქო და რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, კოლმეურნეებსა და მუშებს. ოსურ ენაზე გამომავალ საოლქო გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამართულა დისკუსია ახალი დამწერლობის შესახებ. **განუხილავთ ორი პროექტი:** ქართული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი და რუსულ საფუძველზე. მათი განხილვის შემდგომ ოლქის განათლების სახალხო კომისარიატმა და ოლქის ცაკმა დაამტკიცეს წინადადება ქართული ანბანის ბაზაზე დამწერლობის შემოღების შესახებ. გაზეთებში გამოქვეყნდა ახალი ანბანის პროექტი, რომელიც მოიწონეს რაიონულ და საოლქო პარტიულ კონფერენციებზე.

საოლქო პარტიულმა კონფერენციამ დაავალა ოლქის ცაკს ახალი ანბანის დამტკიცება, რაც შესრულდა 1938 წლის 21 აგვისტოს.

ახალი დამწერლობის შექმნის დროს გათვალისწინებულ იქნა ის, რომ ქართული ანბანი სიზუსტით ასახავს ოსური ენის თითქმის ყველა ბგერას: ამ ენაში 38 ბგერაა. მათგან 33 ბგერა ახლანდელი ქართული ასოების გამოყენებით გადმოიცა, 4 - ძველი ქართული დამწერლობის ასოებით, მხოლოდ ერთი ბგერა - მოდიფიცირებული ა ასოთი.

კ. ჩარკვიანი და ვ. ბაქრაძე აღნიშნავდნენ, რომ ქართულ ანბანზე გადასვლას ხელი შეუწყო ოსი და ქართველი ხალხების საერთო სამეურნეო-კულტურულმა ცხოვრებამ და ისტორიულმა წარსულმა: ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში პირველი ოსი მწერლები იყენებდნენ ქართულ დამწერლობას ოსურად წერისათვის (როგორც ჩანს, იგულისხმება ი. გაბარათი). რაც მთავარია, **ოსურ მოსახლეობაში ლათინიზებული დამწერლობის სავალდებულობის მიუხედავად ყოველდღიურ ცხოვრებაში ამჟამადაც გამოიყენება ქართული დამწერლობა.** ახალი დამწერლობის საკითხების განხილვის დროს გაზეთები აღწერდნენ ფაქტებს, **ქართული დამწერლობა დიდი ხანია სტიქიურადაა გავრცელებული ოს ხალხშიო:** ერთ კორესპონდენტს მოჰყავს მაგალითი, როცა მთაში მყოფ მწყემსებს შინიდან წერილები მოუვიდათ და ამ წერილების უმრავლესობა დაწერილი ყოფილა ოსურ ენაზე, ქართული ასოების გამოყენებით.

საქართველოს კომპარტიის ცკ-მ გაითვალისწინა ეს გარემოებები და 1938 წლის 5 აგვისტოს თავისი დადგენილებით დაადასტურა საოლქო კომიტეტის 1938 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება „ქართულ საფუძველზე [დამყარებულ] ახალ ოსურ დამწერლობაზე გადასვლის შესახებ“. ცკ-მ მოიწონა სამხრეთ ოსეთის განათლების სახალხო კომისარიატის მიერ სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და

მატერიალური კულტურის ინსტიტუტთან ერთად შემუშავებული ახალი ოსური დამწერლობის პროექტი და ჩაატარა აუცილებელი ღონისძიებები საოლქო ორგანიზაციებისათვის ახალ დამწერლობაზე გადასვლაში დასახმარებლად (შრიფტების შექმნა და ა.შ.) (საქართველოს შსს-ს არქივი, ფ. 14, აღ. 12, საქ. 384, გვ. 1-5).

ოსური ენისადმი პროვოკაციული დამოკიდებულების მსგავსი მიზანი ჰქონდა აფხაზური ენის ქართულ დამწერლობაზე გადაყვანასაც, რაც ერთი წლით ადრე მოხდა. 1937 წლის შემოდგომაზე დაწერილ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში დაცულ დოკუმენტში, რომლის ავტორი უნდა იყოს პირველი აფხაზი პროფესიონალი ენათმეცნიერი, აფხაზური კულტურის ინსტიტუტის დირექტორი არსენ ჰაშბა, ავტორი ხაზს უსვამდა ქართული დამწერლობის ღირსებებს და სხვა სერიოზულ არგუმენტებთან ერთად ასახელებდა შემდეგსაც: როცა აფხაზი მოსწავლე შეისწავლის აფხაზური ენისათვის შერჩეულ ქართულ დამწერლობას, მას ეცოდინება წერა-კითხვა აფხაზურად და ქართულად, ხოლო როცა აფხაზეთში მცხოვრები ქართველი ბავშვი ისწავლის ქართულად წერას და კითხვას, მას უკვე ეცოდინება აფხაზური ასოებიცო (სმეაა, ფ. 15, აღ. 1, საქ. N35, გვ. 48-50). გავიხსენოთ, რომ ზუსტად იგივე არგუმენტი იყო გამოყენებული ყაზარდოული და ბაღყარული ენების რუსულ დამწერლობაზე გადაყვანის დროსაც, სხვაობა მხოლოდ ის იყო, რომ ა. ჰაშბა ქართულ ასოებს (მხედრულს) უჭერდა მხარს, ხოლო ყაზარდოულისა და ბაღყარულის შემთხვევაში რუსული კირილიცა იყო დასახელებული.

დასკვნა. მრავალ სხვა საბუთთან ერთად ამ უნიკალური დოკუმენტიც მტკიცდება, რომ:

1. აფხაზი მეცნიერებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი აფხაზური ენის ქართულ დამწერლობაზე გადაყვანის საქმეში და ჰქონდათ საყურადღებო არგუმენტებიც;

2. დოკუმენტის ავტორი იცნობდა ყაზარდოულისა და ბაღყარულის რუსულ გრაფიკაზე გადაყვანის არგუმენტებს (იხ. ზემოთ ე. ევდოკიმოვის წერილი). სხვათა შორის ა. ჰაშბას მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ჩერქეზ და ქართველ კოლეგებთან, მეტიც, მას დავალებული ჰქონდა, აფხაზური, ადიღეური და ყაზარდოული ლათინიზებული დამწერლობების მრავალასოიანობის დაძლევაში მონაწილეობაც (არქივში ინახება სათანადო დოკუმენტები).

3. მოსკოვი უეჭველად იქნებოდა საქმის კურსში, ვინაიდან ა. ჰაშბას, როგორც აფხაზეთის ახალი ანზანის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, უშუალო კავშირი (აქტიური მიმოწერა) ჰქონდა ახალი ანზანის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტთანაც (მის პირად საქმეში უამრავი დოკუმენტი დევს, რომლებიც ამას ადასტურებს).

4. *აფხაზური ენის გადაყვანა ქართულ დამწერლობაზე ისევე, როგორც „სამხრეთული ოსური ენისა“ და 16 ჩრდილოკავკასიური ენა-კილოსი, იყო ენათა ზონალური შერწყმის კონცეფციის პრაქტიკული განხორციელება.*

5. აფხაზური ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანას, ჩვენი ვარაუდით, დამატებით ხელი შეუწყო აფხაზურ საზოგადოებაში იმ დროს გავრცელებულმა იდეამაც აფხაზური ენისათვის აფხაზური დამწერლობის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ. ეს იდეა წერილობითაც ჰქონდა გამოთქმული ა. ჰაშბას (Хаашба, 1972, გვ. 95-96). ამ იდეის განხორციელება დააბრკოლებდა ეთნოსთა დახლეჩისა და ცალ-ცალკე რუსიფიცირების ბოლშევიკური გეგმის განხორციელებას. იგივე იდეა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ა. ჰაშბას დაპატიმრებისა და დახვრეტისა 1937 წლის მიწურულს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- გვანცელაძე, თ., გვანცელაძე, გ., ჭაავა, ს., & ხობელია, მ. (2024). *ენათა შერწყმის ბოლშევიკური კონცეფცია და ენობრივი პოლიტიკა 30-იანი წლების აფხაზეთში*. თბილისი: უნივერსალი.
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივი (სმეა), ფ. №15, აღ. №1, საქ. №35.
- საქართველოს შსს-ს არქივი, ფ. 14, აღ. 12, საქ. 384, გვ. 1-5.
- Услар, П. К. (1881). *Древнейшие сказания о Кавказе*. Тифлис: Кавказское военно-народное управление, Кавказский отдел Русского Императорского географического общества.
- Хашба, А. К. (1972). *Избранные работы*. Сухуми: Алашара.
- ЦК ВКП(б) и национальный вопрос. (2009). кн. 2. Москва: РОССПЭН.
- Шмидт, В. (2021). Системы народного образования среди национальных меньшинств Казахстана. *Восточный архив*. №2 (44), сс. 68-77.
- Foltz, R. (2021). *The Ossetes: modern-day Scythians of the Caucasus*. London.

REFERENCES

- gvantseladze, t., gvantseladze, g., ch'aava, s., & khobelia, m. (2024). *enata sherts'qmis bolshevik'uri k'ontseptisia da enobrivi p'olit'ik'a 30-iani ts'lebis apkhazetshi [The Bolshevik Concept of Language Blending and Language Policy in Abkhazia in the 1930s]*. Tbilisi: Universali.
- sakartvelos metsnierebata erovnuli ak'ademiis arkivi (smeaa), p. №15, agh. №1, sak. №35 [Archives of the Georgian National Academy of Sciences. Collection 15, Inventory 1, Folder 35].
- sakartvelos shss-s arkivi, p. 14, agh. 12, sak. 384, gv. 1-5 [Archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia, Collection 14, Inventory 12, Folder 384, pp. 1-5].
- Uslar, P. K. (1881). *Drevnejshhie skazanija o Kavkaze [The most ancient legends about the Caucasus]*. Tiflis: Caucasian Military People's Administration, Caucasian Department of the Russian Imperial Geographical Society.
- Hashba, A. K. (1972). *Izbrannye raboty [Selected Works]*. Sukhumi: Alashara.
- ЦК ВКП(б) и национальный вопрос [The Central Committee of the All-Union Communist Party (Bolsheviks) and the National Question]. (2009). Book 2. Moscow: ROSSNEP.
- Shmidt, V. (2021). Sistemy narodnogo obrazovanija sredi nacional'nyh men'shinstv Kazahstana [Sistemy narodnogo obrazovaniya sredi natsional'nykh men'shinstv Kazahstana]. *Vostochnyj arhiv [Vostochnyj arkhiv]*. №2 (44), pp. 68-77.
- Foltz, R. (2021). *The Ossetes: modern-day Scythians of the Caucasus*. London.